საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/14153
16/10/2019

14153-2-12-2-201910161252

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი (არსებული მაგისტრალისა და კაკაბეთის გზის კვეთა)) გაუმჯობესების პროექტის განხორციელება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების შესრულების მიზნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან 2018 წლის 20 ივნისს (წერილი N 2-13/7170) წარმოდგენილი იქნა აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომელზეც 31.07.2018 წელს გაიცა №27 სკოპინგის დასკვნა.

ვინაიდან პროექტის დამუშავების შუალედურ ეტაპზე დერეფნის სიახლოვეს სამხედრო ინფრასტრუქტურის არსებობის გამო საჭირო გახდა ავტომაგისტრალის დერეფნის დამატებითი, ალტერნატიული ვარიანტის გათვალისწინებაც (ახალი ალტერნატიული დერეფანი დაემატა საპროექტო ავტომაგისტრალის საწყის - A ქვე-მონაკვეთს თბილისი - მუხრანის მეცხოველეობა) რაც განხილული არ ყოფილა სამინისტროში წარდგენილ სკოპინგის ანგარიშში, გიგზავნით თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის განახლებულ სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ 31.07.2018 წელს გაცემული №27 სკოპინგის დასკვნა ჩათვალოთ ძალადაკარგულად.

დანართის: 1. სკოპინგის ანგარიში ნაბეჭდი - 1 ეგზემპლარი.
2. სკოპინგის ანგარიში ელ. ვერსია და ტერიტორისს (Shp file). - 1 დისკი.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge